

მათემატიკის ოლიმპიადის პირველი ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-3 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და 6 ბონუს დავალებისგან. თითოეულს თან ახლავს 3 სავარაუდო პასუხის. ძირითადი ნაწილის ჯამური ქულაა 50. ყველა ძირითადი სავარჯიშო არის 5 ქულიანი, ხოლო ბონუს დავალებები 3 ქულიანი.

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამოცანის პირობას. ჯერ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი.

ფინალში გამსვლელი ქულაა: 21 (და ყველა 21-ზე მეტი ქულა)

ტესტები არ იქნება დაყოფილი თემატიკის მიხედვით, თუმცა შინაარსობრივად შეგხვდება შემდეგი თემები:

არითმეტიკა და ფულის ერთეულები

ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ამოცანები, რომლებიც მოითხოვს რიცხვებზე ოპერაციების შესრულებასა და ფულის ერთეულების (მაგალითად, თეთრების ლარებში გადაყვანა) პრაქტიკულ გამოყენებას

მაგალითი: რას უდრის $30+80=?$

A) 110

B) 11

C) არც ერთი ჩამოთვლილთაგან

გეომეტრიული ფიგურები და ზომები

ეს დავალებები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ფიგურების პერიმეტრის გამოსათვლელად და სხვადასხვა სიგრძის ობიექტების ერთმანეთთან შესადარებლად.

მაგალითი: რას უდრის სამკუთხედის პერიმეტრი, რომლის ყველა გვერდის სიგრძეა 12?

A) 36

B) 12

C) 48

რიცხვთა თვისებები

აქ მოსწავლეს მოეთხოვება ლუწი და კენტი რიცხვების ამოცნობა, ასევე კონკრეტული რიცხვების ციფრთა ჯამის ან სხვა მახასიათებლების დადგენა.

მაგალითი: რას უდრის უდიდესი ერთნიშნა და უმცირესი ორნიშნა რიცხვების ჯამი?

A) 19

B) 20

C) 99

ლოგიკა და ტექსტური ამოცანები

ეს ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ სიგუაციებს, როგორცაა ობიექტების ლოგიკური შედარება (მაგალითად, სიმალეების მიხედვით), დროში განაწილებული ქმედებების დათვლა და ცხოველთა ფეხების რაოდენობის ამოცანები.